



სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

29 მარტი, 2024 წელი

ბრძანება N 01-02/42

ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით უცხო ენების შემსწავლელი  
მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ


„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორების დანიშვნისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 11 ოქტომბრის №01-02/171 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს 2024 წლის 26 მარტის N20-19/01 სხდომის ოქმი, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უცხო ენების მიმართულების კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათის (N 366220, 28/03/2024 წ.) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებით უცხო ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული) შემსწავლელი მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა, წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.
2. უცხო ენის შემსწავლელ თითოეულ პროგრამაზე სწავლის საფასური (მათ შორის შეღავათიანი - ბსუ-ს პერსონალისათვის) და პროგრამის ხარჯთაღრიცხვა, დამტკიცდეს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.
3. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით უცხო ენების შემსწავლელი მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 მარტის N01-02/46 ბრძანება.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: საინფორმაციო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორს, საკოორდინაციო საბჭოს წევრებს და ამავე ცენტრის უცხო ენების კოორდინატორს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი

 მ. ხალვაში

„ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით უცხო ენების შემსწავლელი მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“  
ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 29 მარტის N.01-02/42 ბრძანების

დანართი N1

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: უცხო ენების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და ამოცანები: მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უცხო ენის დაუფლება და ცოდნის გაღრმავება (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული) ევროპის სარეკომენდაციო საბჭოს მიერ დადგენილი დონეების მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის უმთავრესი ამოცანაა: უცხოენოვანი ქვეყნების ქვეყანათმცოდნეობის, ყოველდღიური რეალიების, ღირებულებების, ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების, სოციო-კულტურული თავისებურებების გაცნობა, კულტურათშორის დიალოგში ჩართვა, უცხოურ ენაზე კომუნიკაციისა და ენობრივი კომპეტენციის დადასტურება.

დასახული მიზნებისა და ამოცანების უზრუნველსაყოფად უცხოური ენის სწავლება ოთხი მიმართულებით (უნარით) მიმდინარეობს: კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი. წარმოდგენილ მიმართულებას აქვს შიდა სტრუქტურა, რომელიც მოიცავს სამ განსხვავებულ ტიპის შედეგს:

- კომუნიკაციური შედეგები, რომელიც გულისხმობს ტექსტების შინაარსის გაგება- გაანალიზებას, ინფორმაციის გადმოცემას (კითხვასა და მოსმენაში) და შექმნას (წერასა და საუბარში);
- ენობრივი შედეგები, გულისხმობს ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების ამოცნობას (კითხვაში) და გამოყენებას (წერასა და საუბარში);
- სტრატეგიული შედეგები, რომლებიც გულისხმობს მოსმენის, კითხვის, საუბრისა და წერის სტრატეგიების დაუფლებას;

უცხო ენების კურსების აღწერა: უცხო ენების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ზოგადი ხასიათის ერთიან კომპლექსურ პროგრამას, სადაც ნებისმიერი შესასწავლი დონე უფრო დეტალურად ჩაიშლება ცალკეული მიმართულებების სპეციფიკიდან გამომდინარე. უცხო ენების მოკლევადიანი

საგანმანათლებლო პროგრამა სთავაზობს მსმენელს სამეტყველო უნარ-ჩვევების განმავითარებელი ენობრივი კომპეტენციის ასამაღლებელ სხვადასხვა დონეს. უცხო ენების სწავლა/სწავლებას ცალკეულ საფეხურზე განსხვავებული დატვირთვა აქვს.

## A2 (საფუძველი)

**მოსმენა:** მსმენელს შეუძლია ხშირად გამოყენებადი ფრაზებისა და სიტყვებისგან შედგენილი ტექსტების გაგება, ინფორმაციის გადმოცემა. სწორად აღიქვამს მისთვის ნაცნობი თემების ირგვლივ მოკლე შეტყობინებებს.

**კომუნიკაცია:** ენის შემსწავლელს შეუძლია მოკლე წინადადებების გაგება, რომლებიც ხშირად ხმარებადი ფრაზებისგან შედგება და ძირითადად მარტივ ინფორმაციას მოიცავს (პირადი მონაცემები, პროფესია, კომუნიკაცია მაღაზიაში, აეროპორტში, საავადმყოფოში და ა.შ). შეუძლია ინფორმაციის გაცვლა, თუ ის მარტივ, მისთვის ნაცნობ ხშირად ხმარებად თემებს შეეხება.

**კითხვა:** მსმენელს შეუძლია მოკლე, მარტივი, კონკრეტული ტექსტების გაგება-აღქმა, ინფორმაციის გადმოცემა, დეტალებზე ყურადღების გამახვილება.

**წერა:** მსმენელს შეუძლია ყოველდღიურ თემებზე მარტივი ტექსტების დაწერა, წერილის წერა, საჭიროებისამებრ პირადი მონაცემების შევსება.

**წერა ხელს შეუწყობს როგორც კითხვის უნარის გაუმჯობესებას, ისე ენობრივი მასალის დამახსოვრებას. თანდათანობით მსმენელი გადადის პროდუცირებაზე. ის ეუფლება ნიმუშების მიხედვით მცირე მოცულობის ფუნქციური ტექსტების შედგენას, სადაც იგი იძენს ამბების, ფაქტების, მოვლენების თანმიმდევრულად გადმოცემისა და შეფასების უნარ-ჩვევებს, რომლებიც მომდევნო ეტაპზე უფრო მეტად გაიშლება და დაიხვეწება.**

## B1 - დამოუკიდებელი მომხმარებელი (ენის კარგი ფლობა)

**მოსმენა:** ამ ეტაპზე გამოიყენება როგორც დიდაქტიზირებული, ისე ნახევრად ავთენტური ტექსტები, რომელთა მოცულობა და სირთულის დონე აღემატება წინა დონის ტექსტების სირთულეს.

გაგების თვალსაზრისით მოთხოვნა გაიზრდება, რადგანაც ენის შემსწავლელს მოეთხოვება ტექსტის უფრო ამომწურავად გაგება და ენობრივი მოვლენების შესწავლა/გაანალიზება.

**კომუნიკაცია:** ენის შემსწავლელს შეუძლია ნაცნობ თემებზე (პროფესია, სწავლა, თავისუფალი დრო, მოგზაურობა, განათლება, ცხოვრების წეს -ჩვევები, ტრადიციები და ღირებულებები) მკაფიოდ წარმართული საუბრის გაგება; შეუძლია

გამოცდილების, მოვლენების აღწერა და თავისი აზრის დაფიქსირება. კომუნიკაციის დამყარება მოსაუბრესთან. სწავლების ამ ეტაპზე უფრო მრავალფეროვანი ხდება საკომუნიკაციო სიტუაციები, რომლებშიც იგი მონაწილეობს როგორც მსმენელი ან მოქმედი პირი, იწყებს ენობრივი მარაგის უფრო თავისუფლად გამოყენებას როგორც სიმულაციური, ისე რეალური კომუნიკაციის დროს.

კითხვა: მსმენელს შეუძლია მარტივი ენით დაწერილი ტექსტის გაგება, რომელიც მის პროფესიულ სფეროს ეხება. ენის შემსწავლელს მოეთხოვება სხვადასხვა ტიპის და შინაარსის ტექსტების გაგება და ინფორმაციის გადმოცემა. ტექსტები მცირე მოცულობის, ნახევრად ავთენტური ან ავთენტურია. მსმენელი, დასმული ამოცანის შესაბამისად, გაეცნობა კითხვის სხვადასხვა სტრატეგიებს - გაცნობითი, შესწავლითი, ძიებითი.

წერა: შეუძლია ნაცნობ თემაზე წერა, საკუთარ გამოცდილებებისა და შთაბეჭდილებების აღწერა. სწავლების ამ ეტაპზე თანდათანობით ხდება წერის საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების დაუფლება. მსმენელები ეუფლებიან ისეთ უნარ-ჩვევებს, როგორცაა აღწერითი, თხრობითი ტექსტების შექმნა. პირადი კორესპონდენციის წარმოება და სხვა.

## B2 (ზღვრული განვითარებული)

### B2.1

მოსმენა: მოსმენის კომპეტენციის გაუმჯობესებისთვის თავისუფლად გამოიყენება ავთენტური ტექსტები და საშუალება ეძლევა მოსმენის უნარს ზეპირმეტყველებისგან დამოუკიდებლად სწრაფად და ღრმად განვითარდეს.

კომუნიკაცია: ენის შემსწავლელი იგებს რთული ტექსტების არსებით შინაარსს. ესმის საკუთარი სპეციალური სფერო, ადვილად იგებს მისი პროფესიისთვის დამახასიათებელ ჟარგონს. კომუნიკაციის დროს შემსწავლელის საუბარი შეუფერხებელი და მკაფიოა, შეუძლია დეტალურად ისაუბროს სხვადასხვა თემებზე, ისაუბროს და განმარტოს მისი დამოუკიდებულებები კონკრეტული თემის მიმართ. სწავლების ამ ეტაპზე უფრო მდიდრდება კომუნიკაციის სწავლების სტრატეგიები და ხერხები.

კითხვა: მსმენელს შეუძლია დამოუკიდებლად და სწრაფად სხვადასხვა თემებზე დაწერილი ტექსტების კითხვა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება. ამ ეტაპზე ზეპირი თუ წერიტი მეტყველების უნარის განვითარების მთავარი წყარო - კითხვა ხდება. მისი საშუალებით მსმენელი ენობრივ მარაგს ამდიდრებს და სწავლაში უფრო დამოუკიდებელი ხდება. იზრდება შემსწავლელთა ავტონომიურობა და თვითდაჯერება.

**წერა:** შემსწავლელს შეუძლია წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავისი აზრი და შეხედულებები სხვადასხვა თემებზე, შეუძლია ანგარიშის დაწერა და კორექსონდენციის წარმართვა; სწავლების ამ ეტაპზე მსმენელი ეუფლება ისეთი სახის ტექსტების წერას, რომელიც მას რეალურ ცხოვრებაში გამოადგება. ახდენს ცოდნის ტრანსფერს რეალურ სიტუაციაში და შესაბამისად მათი დეკლარატიული ცოდნა გადადის პირობისეულ ფაზაში.

## **B2 (ზღვრული განვითარებული)**

### **B2.2**

**მოსმენა:** სწავლების ამ დონეზე მეტყველება და მოსმენა არ არის ურთიერთგადაჯაჭვული, ურთიერთდაქვემდებარებული; თავისუფლად გამოიყენება ავთენტური ტექსტები და საშუალება ეძლევა მოსმენის უნარს ზეპირმეტყველებისგან დამოუკიდებლად სწრაფად და ღრმად განვითარდეს; სწავლების ამ ეტაპზე მსმენელები ეჩვევიან ტექსტის გაგებას მხოლოდ აკუსტიკურ ხატზე დაყრდნობით.

**კომუნიკაცია:** ენის შემსწავლელს შეუძლია გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი. ესმის მისი სპეციალური სფერო, ადვილად იგებს პროფესიისთვის დამახასიათებელ ჟარგონს, შეუძლია გაიგოს და წარმართოს დარგობრივი დისკუსია. ასევე, ადვილად ჩაერთოს კულტურათშორის დიალოგში. კომუნიკაციის დროს შემსწავლელის საუბარი შეუფერხებელი და მკაფიოა, შეუძლია დეტალურად ისაუბროს სხვადასხვა თემებზე ისაუბროს და განმარტოს თავისი დამოკიდებულებები კონკრეტული თემის მიმართ, ასევე ისაუბროს ღირებულებებზე. სწავლების ამ ეტაპზე უფრო მდიდრდება კომუნიკაციის სწავლების სტრატეგიები და ხერხები, რომლებიც მიმართულია თვითგამოხატვის უნარის დახვეწის, დაზუსტებისა და გამდიდრებისკენ.

**კითხვა:** შეუძლია დამოუკიდებლად და სწრაფად სხვადასხვა თემებზე დაწერილი ტექსტების კითხვა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება; ამ ეტაპზე ზეპირი თუ წერილი მეტყველების უნარის განვითარების მთავარი წყარო - კითხვა ხდება, მისი საშუალებით მსმენელი ენობრივ მარაგს ამდიდრებს და სწავლაში უფრო დამოუკიდებელი ხდება; იზრდება შემსწავლელთა ავტონომიურობა და თვითდაჯერება; იმატებს ტექსტების მოცულობა და სირთულის დონე; შემსწავლელს მოეთხოვება ავთენტური, სხვადასხვა ჟანრისა თუ ტიპის, ლიტერატურული თუ ფუნქციური ტექსტების გაგება და გაანალიზება.

**წერა:** შემსწავლელს შეუძლია წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავისი აზრი და შეხედულებები სხვადასხვა თემებზე, შეუძლია ანგარიშის დაწერა და კორექსონდენციის წარმართვა; სწავლების ამ ეტაპზე მსმენელი ეუფლება ისეთი სახის ტექსტების წერას, რომელიც მას რეალურ ცხოვრებაში გამოადგება. ახდენს

ცოდნის ტრანსფერს რეალურ სიტუაციაში და შესაბამისად მათი დეკლარატიული და პროცედურული ცოდნა გადადის პირობისეულ ფაზაში.

## C 1– (ენის თავისუფალი ფლობა)

### C1.1

**მოსმენა:** სწავლების ამ ეტაპზე მსმენელს შესწევს უნარი გაიგოს სხვადასხვა ტიპის სატელევიზიო გადაცემებისა და ფილმების შინაარსი; მას ასევე შეუძლია მოისმინოს და გაიგოს სალექციო კურსები მისთვის სასურველ სფეროში.

**კომუნიკაცია:** შეუძლია რთული, ფართო სპექტრის ვრცელი თემების გაგება და მათში არაპირდაპირ გადმოცემული ინფორმაციის ამოცნობა; შეუძლია დაუბრკოლებლად საუბარი ისე, რომ საჭირო სიტყვებისა და ფრაზების მოძებნას არ დაუთმოს დრო.

**კითხვა:** მსმენელს შეუძლია ვრცელი, კომპლექსური ტექსტების გაგება და დეტალების ჩათვლით მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადმოცემა.

**წერა:** შეუძლია მკაფიოდ სტრუქტურირებული ტექსტის დაწერა კომპლექსურ თემებზე: თხზულების, წერილის, სტატიის, ანგარიშის ფორმატში.

### C1.2 (ენის თავისუფალი ფლობა)

**მოსმენა:** კურსის მსმენელს შეუძლია როგორც ზოგადი, ასევე დარგობრივი ხასიათის რთული ავთენტური ტექსტების გაგება და მათგან ზოგადი და მთავარი ინფორმაციის ამოღება. სწავლის ამ ეტაპზე მსმენელს შესწევს უნარი გაიგოს სხვადასხვა ტიპის სატელევიზიო გადაცემებისა და ფილმების შინაარსი; მას ასევე შეუძლია მოისმინოს და გაიგოს სალექციო კურსები მისთვის სასურველ სფეროში.

**კომუნიკაცია:** შეუძლია რთული, ფართო სპექტრის ვრცელი თემების გაგება და მათში არაპირდაპირ გადმოცემული ინფორმაციის ამოცნობა; შეუძლია დაუბრკოლებლად საუბარი ისე რომ საჭირო სიტყვებისა და ფრაზების მოძებნას არ დაუთმოს დრო. თავისუფლად იყენებს ენას სოციალურ, აკადემიურ და პროფესიულ თემებზე სასაუბროდ.

**კითხვა:** შეუძლია ვრცელი, კომპლექსური ტექსტების გაგება და დეტალების ჩათვლით მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადმოცემა.

**წერა:** კურსის მსმენელს შეუძლია მკაფიოდ სტრუქტურირებული ტექსტის დაწერა კომპლექსურ თემებზე: თხზულების, წერილის, სტატიის, ანგარიშის ფორმატში; შეუძლია მთავარი საკითხების გამოყოფა და შესაბამისი სტილის შერჩევა.

## C 2 (ენის სრულყოფილი ფლობა)

### C 2.1

**მოსმენა:** მსმენელს შეუძლია ძალიან რთული, აბსტრაქტული და სპეციფიკური შინაარსის ავთენტური ტექსტების გაგება. ესმის დარგობრივი ტერმინოლოგიების შინაარსი.

**კომუნიკაცია:** მსმენელს შეუძლია პრაქტიკულად ყველაფრის გაგება, ინფორმაციის სინთეზი სხვადასხვა წყაროდან, არგუმენტების რეკონსტრუქცია და მათი პრეზენტაცია. პროფესიულ სფეროში თავისუფლად შეუძლია კომუნიკაციაში ჩართვა, დასკვნის გამოტანა, მსჯელობა და ანალიზი.

**კითხვა:** მსმენელს შეუძლია ნებისმიერი ფორმატისა და სირთულის ტექსტების წაკითხვა.

**წერა:** შეუძლია პროფესიულ სფეროში ტექსტების რეზიუმესა და მიმოხილვის დაწერა.

### C 2.2 (ენის სრულყოფილი ფლობა)

**მოსმენა:** მსმენელს შეუძლია ძალიან რთული, აბსტრაქტული და სპეციფიკური შინაარსის ავთენტური ტექსტების გაგება; ესმის დარგობრივი ტერმინოლოგიების შინაარსი და შეუძლია ტექსტებიდან იმპლიციტური ინფორმაციის, ურთულესი სტილისტური ნიუანსებისა და მნიშვნელობების გაგება.

**კომუნიკაცია:** კურსის მსმენელს შეუძლია პრაქტიკულად ყველაფრის გაგება, ინფორმაციის სინთეზი სხვადასხვა წყაროდან, არგუმენტების რეკონსტრუქცია და მათი პრეზენტაცია, სპონტანურად და თავისუფლად საუბარი; პროფესიულ სფეროში თავისუფლად შეუძლია კომუნიკაციაში ჩართვა, დასკვნის გამოტანა, მსჯელობა და ანალიზი.

**კითხვა:** კურსის მსმენელს შეუძლია ნებისმიერი ფორმატისა და სირთულის ტექსტების წაკითხვა. ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე შეუძლია ნებისმიერი ტიპის ტექსტის გაგება და გამოყენება.

**წერა:** მსმენელს შეუძლია რთული და ვრცელი თხზულებების, წერილების, სტატიების, ანგარიშისა და სხვა ფორმატის ტექსტების წერა; შეუძლია პროფესიულ სფეროში ტექსტების რეზიუმესა და მიმოხილვის დაწერა.



**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**  
(დონეებისათვის: A2-B1-B2.1.-B2.2.-C1.1.- C1.2.-C2.1.-C2.2.)

ენის დაუფლებისთვის და ენობრივი კომპეტენციის გაუმჯობესებისთვის, სწავლების პროცესში ხელმძღვანელი სარგებლობს მეთოდისა და სტრატეგიების მრავალფეროვნებით. იგი შემსწავლელს სთავაზობს როგორც ინტერაქციულ, ისე დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს. უცხო ენის პედაგოგი მასალას, ასევე ვიზუალური პრეზენტაციის სახითაც წარმოადგენს, რომელსაც ახლავს ვერბალური განმარტება, დისკუსია, საკითხის საერთო ინტერაქციის გზით განხილვა, გამოყენებული მეთოდები ფოკუსირებულია შემსწავლელში კომუნიკაციის კომპეტენციის დაუფლება-გაუმჯობესებისთვის. შესაბამისად, სწავლება-სწავლის პროცესში გამოიყენება ისეთი მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, როგორცაა:

- გონებრივი იერიში /ასოციაცია; ბისოციაცია/
- იდეათა რუკა
- ვიცი, მინდა ვიცოდე, გავიგე
- სიტუაციის შეთავაზება და მინი დისკუსია
- როლური თამაში
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი დედუქცია, ინდუქციის მეთოდთა გამოყენებით
- პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება
- კოგნიტური სქემების გამოყენება
- დიდაქტიკური მეთოდები- ინტერაქცია, მსჯელობა, წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა
- დემონსტრირების მეთოდი
- მოსმენის უნარის გაუმჯობესების სტრატეგიები
- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი და წერიტი მეთოდი

მსმენელთა ჯგუფის განსაზღვრა (ჯგუფური მეცადინეობა): მსმენელთა მიღება შესაბამის ჯგუფებში წარმოებს როგორც უცხო ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტის საფუძველზე, ასევე მსმენელის მიერ შესაბამისი დონის სწავლების კურსის არჩევით (მაგალითად: ტესტის შედეგის მიუხედავად შეუძლია ისწავლოს უფრო დაბალი დონის კურსზე ან განმეორებით გაიაროს კურსი).

კურსის ხანგრძლივობა / პროგრამის მოცულობა:

N	ზოგადი უცხოური ენის დონეები (პროგრამები - ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული)	კურსის მოცულობა - საათების რაოდენობა
		(კვირაში 2 ან 3 შეხვედრაზე სულ 5 საათის პირობებში)
1	A2	60 სთ (დაახლოებით 3 თვე)
2	B1	80 სთ (დაახლოებით 4 თვე)
3	B2.1	120 სთ (დაახლოებით 6 თვე)
4	B2.2	120 სთ (დაახლოებით 6 თვე)
5	C1.1	100 სთ (დაახლოებით 5 თვე)
6	C1.2	100 სთ (დაახლოებით 5 თვე)
7	C2.1	100 სთ (დაახლოებით 5 თვე)
8	C2.2	100 სთ (დაახლოებით 5 თვე)

ზოგადი უცხოური ენების შესწავლისათვის გამოსაყენებელი ლიტერატურა (სახელმძღვანელო) დონეებისათვის: A2-B1-B2.1.-B2.2.-C1.1.- C1.2.-C2.1.-C2.2.

ინგლისური ენის კურსებზე:

- ‘Total English’ – Elementary, Araminta Grace with Richard Acklam 2013
- ‘Total English’ – Pre-Intermediate, Araminta Grace with Richard Acklam 2015
- ‘Total English’ – Intermediate, Araminta Grace with Richard Acklam 2015
- ‘Total English’ – Upper Intermediate, Araminta Grace with Richard Acklam 2015
- ‘Total English’ – Advance, Araminta Grace with Richard Acklam 2015

'Headway' -5<sup>th</sup> edition- **Advanced**, Liz and John Soars 2018  
'Speak Out' – Upper Intermediate, Frances Eales, Steve Oakes 2018  
FCE- Speaking Sections 2018  
FCE – Speaking Sections with Pictures 2020

გერმანული ენის კურსებზე:

Habersack, Charlotte/ Pude, Angela/ Specht, Franz: Menschen A2.1, Kursbuch. Hueber Verlag, 2013  
Breitsameter, Anna/Glas-Peters, Sabine/ Pude, Angela: Menschen A2.1, Arbeitsbuch. Hueber Verlag, 2013

Braun-Podeschwa, Julian/Pude, Angela: Menschen, Deutsch als Fremdsprache. Kursbuch B1, Hueber-Verlag, München, 2015

Breitsameter Anna/Glas-Peters. Sabine/Pude, Angela: Menschen, Deutsch als Fremdsprache. Arbeitsbuch B1, Hueber-Verlag, München, 2015

Michaela Perlmann-Balme. Susanne Schwalb, Magdalena Matussek: Sicher B2.1 Kurs- und Arbeitsbuch. Hueber Verlag 2013

Michaela Perlmann-Balme. Susanne Schwalb, Magdalena Matussek: Sicher B2.2 Kurs- und Arbeitsbuch. Hueber Verlag 2014

Michaela Perlmann-Balme. Susanne Schwalb, Magdalena Matussek: Sicher C1.1 Kursbuch. Hueber Verlag 2015

Michaela Perlmann-Balme. Susanne Schwalb, Magdalena Matussek: Sicher C1.1 Arbeitsbuch. Hueber Verlag 2015

Michaela Perlmann-Balme. Susanne Schwalb, Magdalena Matussek: Sicher C1.2 Kurs- und Arbeitsbuch. Hueber Verlag 2016

ფრანგული ენის კურსებზე:

Defi 2 - A2, Pascal Biras, Monique Denyer. Maison Langues 2020

Defi 2 - B1, Pascal Biras, Anna Chevier. Maison Langues 2019

Defi 2 - B2, Pascal Biras, Anna Chevier. Maison Langues 2020

Defi 2 - C1, Cecile Pinson, Anouch Bourmayan, Ditier Edition 2018

Defi 2 - C1, Cecile Pinson, Anouch Bourmayan, Ditier Edition 2018

თურქული ენის კურსებზე:

İSTANBUL YABANCILAR İÇİN TÜRKÇE DERS KİTABI A1  
მთავარი რედაქტორი: Mehmet Yalçın YILMAZ  
გამოცემა 2012 წ

İSTANBUL YABANCILAR İÇİN TÜRKÇE DERS KİTABI A2  
მთავარი რედაქტორი: Mehmet Yalçın YILMAZ  
გამოცემა 2013 წ.

İSTANBUL YABANCILAR İÇİN TÜRKÇE DERS KİTABI B1  
მთავარი რედაქტორი: Mehmet Yalçın YILMAZ  
გამოცემა 2013 წ.

İSTANBUL YABANCILAR İÇİN TÜRKÇE DERS KİTABI B2  
მთავარი რედაქტორი: Mehmet Yalçın YILMAZ  
გამოცემა 2015 წ.

İSTANBUL YABANCILAR İÇİN TÜRKÇE DERS KİTABI C1 / +  
მთავარი რედაქტორი: Mehmet Yalçın YILMAZ, გამოცემა 2013 წ.

## მსმენელის ცოდნის შეფასების სისტემა

მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში, მსმენელის მიერ გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) სწრებადობას და აქტიურობას; დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; პროგრესის ამსახველ შემაჯამებელ ტესტებს; შუალედურ შეფასებას.

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

დასკვნითი გამოცდა - აფასებს მსმენელს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: მოსმენა - 25 ქულა, კითხვა - 25 ქულა, წერა - 25 ქულა, საუბარი - 25 ქულა, ჯამში - 100 ქულა.

დადებითი შეფასებებია:

- A - ფრიადი- მაქსიმალური შეფასება 91% და მეტი
- B - ძალიან კარგი - 81-90%
- C - კარგი- 71-80%
- D - დამაკმაყოფილებელი- 61-70%
- E - საკმარისი - 51- 60%

უარყოფითი შეფასება:

- FX --ვერ ჩააბარა- 41-50%, რაც ნიშნავს მსმენელს დამოუკიდებელი მუშაობით, დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება ეძლევა.
- F - ჩაჭრა- 40% და ნაკლები. რაც ნიშნავს, რომ მსმენელის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და არსებული კურსი ახლიდან აქვს გასავლელი.
- ასევე, მსმენელი არ დაიშვება დასკვნით გამოცდაზე თუ მას 70% გაცდენა აქვს.

## პროგრამის დასრულების შემდეგ სერთიფიკატის გაცემის წესი და პირობები:

პროგრამის ცალკეული ენობრივი დონის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი სერთიფიკატი, შემდეგი პირობებით:

ა) მსმენელის მიერ შეფასების სისტემაში აღწერილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე;

ბ) მსმენელის მიერ შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (51 ან მეტი ქულა)

მსმენელზე, რომელზეც არ გაიცემა სერთიფიკატი, მისი მოთხოვნით გაიცემა ცნობა პროგრამის გავლის თაობაზე.

### სერთიფიკატის გაცემის აღრიცხვის წესი:

სერთიფიკატის გაცემა აღრიცხება შესაბამის ჟურნალში, სადაც მითითებულია: მსმენელის სახელი და გვარი, პროგრამის განხორციელების პერიოდი, პროგრამის ხანგრძლივობა, საკონტაქტო საათების რაოდენობა და გაცემული სერთიფიკატის ნომერი.

პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი (ტრენერები): უცხო ენების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, მოწვეული იქნებიან უცხო ენების მიმართულებით განათლების მქონე პერსონალი (ბსუ-ს ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის/ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, უფროსი და მოწვეული მასწავლებლები).

პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი: პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსში შედის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფართი და ტექნიკური აღჭურვილობა. სწავლებისთვის აუცილებელი დამხმარე პირობები: პროგრამის განხორციელებისთვის უნივერსიტეტში არსებული წიგნადი ფონდი; მოწვეული მასწავლებლების მიერ გაწეული კონსულტაციები და მათ მიერ მომზადებული მრავალფეროვანი მასალა.